ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო
ქონების მართვის, ეკონომიკურ
და სოფლის მეურნეობის კომისია

ოქმი:**ო47. 4724338001**

თარიღი:**03/12/2024**

ქონების მართვის, ეკონომიკურ და სოფლის მეურნეობის

საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N 12

დ.ჩოხატაური 25 ნოემბერი 2024 წელი.

<u>თავმჯდომარეობდა:</u> აკაკი ყაჭეიშვილი

ესწრებოდნენ:ვლადიმერ სიხარულიძე, კობა კალანდაძე, თემურ ხუხუნაიშვილი, ზვიად წეროძე,დავით ტყეშელიაძე;

არ ესწრებოდნენ:ლაშა თოლორდავა,მანანა მინდაძე, ვალერიან ჩხიკვაძე, ხათუნა ბერიშვილი, მამია ბარამიძე.

მოწვეული მუნიციპალიტეტის მერიიდან:

ვალერი ყაჭეიშვილი - მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი;

ლელა მდინარაძე -გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის განვითარების განყოფილების უფროსი;

ზაზა კაკურია - საოქმო **-** სამდივნო მომსახურების განყოფილების უფროსი სპეციალისტი;

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგის პროექტი შემდეგი ფორმულირებით:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2024 წლის დამატებითი საპრივატიზაციო ნუსხისა და დამატებითი პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

2.2024 წელში სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით გაწეული საქმიანობის შესახებ.

3.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ.

აზრი გამოთქვა: ზვიად წეროძე, თემურ ხუხუნაიშვილმა ისინი დაეთანხმნენ დღის წესრიგის წარმოდგენილ პროექტს.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -6

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა -0

(კენჭისყრას ესწრებოდა 6 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2024 წლის დამატებითი საპრივატიზაციო ნუსხისა და დამატებითი პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

2.2024 წელში სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით გაწეული საქმიანობის შესახებ.

მომხსენებელი: ლელა მდინარაძე

3.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ.

მომხსენებელი: აკაკი ყაჭეიშვილი

I საკითხი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2024 წლის დამატებითი საპრივატიზაციო ნუსხისა და დამატებითი პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს :

1.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2024 წლის დამატებითი საპრივატიზაციო ნუსხისა და დამატებითი პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

აზრი გამოთქვა: სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს აზრის გამოთქმის თაობაზე, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _6

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა -0

(კენჭისყრას ესწრებოდა 6 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ განიხილა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2024 წლის დამატებითი

საპრივატიზაციო ნუსხისა და დამატებითი პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი და გადაწყვიტა, გადაეცეს საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

II საკითხი

2024 წელში სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით გაწეული საქმიანობის შესახებ.

<u>მოისმინეს :</u>

2.2024 წელში სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით გაწეული საქმიანობის შესახებ.

მომხსენებელი:ლელა მდინარაძე

აზრი გამოთქვა: სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს აზრის გამოთქმის თაობაზე, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ განიხილა და ცნობად იქნა მიღებული ანგარიში 2024 წელში სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით გაწეული საქმიანობის შესახებ.

III **საკითხი**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ.

მოისმინეს :

3.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ.

მომხსენებელი: აკაკი ყაჭეიშვილი

აზრი გამოთქვა: სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს აზრის გამოთქმის თაობაზე, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიას გააჩნია შემდეგი სახის შენიშვნები:

1. მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტში აუცილებელია გათვალისწინებული იქნას, ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალსადენების ქსელის მოწყობისა და რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის საბიუჯეტო ასიგნებები.
2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილ 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის მე-10 მუხლში, ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განსაზღვრულია 1, 000 ათასი ლარით.

გთხოვთ, დამატებით გვაცნობოთ აღნიშნული ცვლილების რაოდენობის წარმოშობის შესახებ და მოგვცეთ განმარტება, რამდენად შესაბამისობაშია ეს საბიუჯეტო კოდექსთან.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _6

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა -0

(კენჭისყრას ესწრებოდა 6 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ განიხილა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი და გადაწყვიტა, აღნიშნული შენიშვნების სისტემატიზაცია უზრუნველყოს საკრებულოს აპარატმა, რათა საკრებულოს თავმჯდომარემ 2025 წლის ბიუჯეტში გასათვალისწინებლად გადაუგზავნოს მუნიციპალიტეტის მერს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

აკაკი ყაჭეიშვილი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-ქონების მართვის, ეკონომიკურ და სოფლის მეურნეობის საკითხთა კომისია-კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი